შპს ლილეო

სამშენებლო და საექსპერტო კვლევითი სამუშაოების ჯგუფი





შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

№363(M)

02. 06. 2016 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა სამგორი №3-ში, საკადასტრო კოდით №01.17.12.003.106 მიწის ნაკვეთზე არსებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული საწარმო დანიშნულების შენობის რეკონსტრუქციისა და მის ირგვლივ ანალოგიურად საწარმო შენობების მიშენების მშენებლობის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა არსებული შენობის მიმართ

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა სამგორი №3-ში შემოწმებულ იქნა საკ. კოდით №01.17.12.003.106 მიწის ნაკვეთი, სადაც მდებარეობს ორი საწარმო ტიპის შენობა. კვლევას საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილება კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი შენობების რეკონსტრუქცია-დაშენება და მის მიჯნაზე პროექტის მიხედვით ანალოგიურად საწარმო დანიშნულების შენობების მოწყობა. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს აღნიშნული შენობების დემონტაჟისა და ახალი მშენებლობის პროცესში მის მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო საზღვრებში შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლას და სამუშაოების განხორციელების პროცესში ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობას, შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით. აღნიშნულ მისამართზე წარმოდგენილი შენობა მოცემულია შედეგი სახით:

საპროექტო ტერიტორიების დათვალიერების შედეგად, ზემოთ აღნიშნული საკ. ნუმერაციით შენობა 1/1 და 2/2 კონსტრუქციული თვალსაზრისით ხასიათდება შემდეგი სახით: შენობის საძირკვლები დაკვირვების შედეგად განხორციელებულია რკინა-ბეტონის ლენტური ტიპის საძირკვლით, რომელიც შენობის მთლიან პერიმეტრზე არის შეკრული. მზიდი საანგარიშო სქემა განხორციელებულია რკინა-ბეტონის ანაკრები სვეტებით, რომელიც კონსტრუქციული სქემის მიხედვით წარმოადგენს ორმხრივ სტატიკურად ოთხჯერ ურკვევ სისტემას. კედლები ამოშენებულია სტანდარტული სამშენებლო ბლოკით, ხოლო შენობის გადახურვა მოწყობილია რკინა-ბეტონის ფერმებითა და ეგრეტ წოდებული პეკაჟებით.

რსებული მდგომარეობის მიხედვით აღნიშნული შენობები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და მდგრადობის კუთხით სავსებით საიმედო. როექტის მიხედვით ხორციელდება აღნიშნული შენონა 1/1 და 2/2-ის რეკონსტრუქცია, რომელიც უმნიშვნელოდ განიხდის ცვლილებას, ხოლო მის ირგვლივ უნდა აშენდეს ანალოგიური ტიპის დანიშნულების და სიმაღლის მქონე შენობა-ნაგებობები, რომლის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია

მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასში, ხოლო ფერმებად გამოყენებულ იქნება ლითონის სტრუქტურული ტიპის ელემენტები.

აღნიშნული მდგომარეობის მიხედვით წარმოდგენილი სამუშაოების განხორციელება არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს, როგორც არსებული სარეკონსტრუქციო შენობის მიმართ ასევე მის ფუდამენტებზე და საძირკველბზე, ვინაიდან კონსტრუქციული გადაწყვეილების და გეოლოგიური პირობების მიხედვით ხორციელდება თანაბარ დონეებზე საძირკვლების გეგმარება და დამოუკიდებელი კონსტრუქციული საანგარიშო სქემის მოწყობა.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, ქუჩა სამგორი №3, საკადასტრო კოდით №01.17.12.003.106-ში მიწის ნაკვეთზე ზემოთ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება დასაშვებად მიგვაჩნია. რსებული შენობის კონსტრუქციული მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია და ექვემდებარება პროექტის მიხედვით რეკონსტრუქციას, ხოლო მის ირგვლივ გათვალისწინებული ანალოგიური ტიპის შენობების გეგმარება არა მოახდენს აღნიშნული შენობის მიმართ უარყობით ზეგავლენას, რადგან არ ხორციელდება მათი ხისტი კონსტრუქციული კავშირი ფუნდამენტებითა და საყრდენი კოლონებით და ასევე სამშენებლო მოედანი აღნიშნული შენობა-ნაგებობებისათვის გეოლოგიური პირობების შედეგად მისაღები და დამაკმაყოფილებელია.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: